41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ამბროლაურელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ამბროლაურის მერობის კანდიდატისა და ამბროლაურის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ამბროლაურის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ამბროლაური და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ადგილობრივი ბიუჯეტი

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 3 მლნ 396 ათასი ლარი იყო, 2020 წლის მდგომარეობით, 7,3 მლნ ლარს შეადგენს. იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – 2013 წელს ამბროლაურის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 6 მლნ 314 ათას ლარს შეადგენდა, 2020 წლისთვის 15.6 მლნ ლარია.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 7 პროექტი** (ინვესტიცია 10 663 243 ლარი, თანამონაწილეობა 3 631 093 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 11 პროექტი (1 159 487 ლარი, თანამონაწილეობა 463 795 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 28 ჰექტარზე განხორციელდა 13 პროექტი (ჯამურად 276 206 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 102 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 700 385 ლარი), რითაც 151-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 10 787 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისთვის მოქმედებს 20 კოოპერატივი (128 მეპაიე, კაპიტალი 416 835 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 28 360 640 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 4 062 052 ლარი), რითაც 65-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 3 პროექტი, ჯამურად, 616 707 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 246 683 ლარი). 2019 წელს ამოქმედებული **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით,** შესყიდულია 193 125 ლარის ტექნიკა (96 563 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს 2 ახალი პროგრამა: **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** დღემდე 2 პროექტი განხორციელდა (ინვესტიცია 103 450 ლარი, თანადაფინანსება 51 725 ლარი), ხოლო **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 4 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 751 246 ლარი, თანადაფინანსება 589 171 ლარი). 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში,** ცივი შესხურებით წლიურად, საშუალოდ, დაამუშავა 51 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 11 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.**

მეწარმეობის განვითარება

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საწარმო (ჯამურად 1 440 000 ლარი, დასაქმებულია 12 ადამიანი). ამავე პროგრამის **სასტუმროს კომპონენტში,** ამბროლაურში დაფინანსდა 1 სასტუმროს მშენებლობა (ჯამურად 703 500 ლარი, დასაქმებულია 12 ადამიანი, მუნიციპალიტეტს სასტუმროს 18 ახალი ნომერი შეემატა). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 1 571 253 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 007 969 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 246 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 55, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 191 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ენერგეტიკა

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2013-2021 წლებში, **რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში აშენდა** 4 ჰიდროელექტროსადგური (რაჭაჰესი, კასლეთიჰესი2, ხეორიჰესი, ჯონოულიჰესი 1), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 21,5 მგვტ-ია.

მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა 12 ჰიდროელექტროსადგური:

- რაჩხა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,3 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ბერბალი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 0,9 მგვტ, 1 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხუნი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 23 მლნ აშშ დოლარი;
- ჭიორა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 14,1 მგვტ, 14 მლნ აშშ დოლარი;
- მაჟიეთი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 12,2 მგვტ, 13,6 მლნ აშშ დოლარი;
- ღები ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 14,3 მგვტ, 14,3 მლნ აშშ დოლარი;
- ღერე ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 9,4 მგვტ, 12,9 მლნ აშშ დოლარი;
- საკაურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;
- ლასკადურა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 11,5 მგვტ, 17 მლნ აშშ დოლარი;
- ბოყო ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 1,5 მლნ აშშ დოლარი;
- სადშელი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 4,4 მგვტ, 6 მლნ აშშ დოლარი;
- ჩორდულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,97 მგვტ, 3,54 მლნ აშშ დოლარი.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ჰიდროელექტროსადგურები:

- სორგითი ჰესი 1 – დადგმ. სიმძლავრე 15,2 მგვტ, 21,07 მლნ აშშ დოლარი;
- სორგითი ჰესი 2 – დადგმ.სიმძლავრე 16 მგვტ, 18,781 მლნ აშშ დოლარი;
- ჯონოული 2 ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 32 მგვტ, 50 მლნ აშშ დოლარი;
- ქვედი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,7 მგვტ, 1,3 მლნ აშშ დოლარი;
- ლაჯანური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16 მგვტ, 26 მლნ აშშ დოლარი;
- ღარულა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,5 მგვტ, 3,7 მლნ აშშ დოლარი;
- ალპანა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 55,3 მგვტ, 70 მლნ აშშ დოლარი;
- ძუღური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 3,1 მლნ აშშ დოლარი;
- ნოწარული ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 8,38 მგვტ, 9,9 მლნ აშშ დოლარი;
- დუსკური ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1 მლნ აშშ დოლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** 2 529 აბონენტი. 2022-2023 წლებში ხელისუფლება გეგმავს ხუთი სოფლის (კრიხი, ჟოშხა, ბაჯი, მუხლი, ბუგეული) გაზიფიცირებას, რითაც დამატებით 699 აბონენტი ისარგებლებს ბუნებრივი აირით. 2013-2017 წლებში, 5 087 აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან, 2019 წელს (პანდემიამდე), 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტში განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ 2014-2019 წლებში განხორციელდა არაერთი სწავლება/ტრენინგი.

ამბროლაურში დამონტაჟდა ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები, საინფორმაციო-საორიენტაციო სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებულია რუკა და ინფორმაცია ახლომდებარე ტურისტული ადგილების შესახებ; ქალაქში დამონტაჟდა ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებლები. პროექტით „ღვინის გზა“ განხორციელდა ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების დამზადება/მონტაჟი. შაორის ტბის მიმდებარედ დამონტაჟდა სასურათე ჩარჩო.

ტურიზმის განვითარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი პროექტები: ექსტრემალური სპორტის მოყვარულებისთვის შაორის ტბაზე სპეციალური ბილიკების მოწყობა; სოფელ წესში, ბარაკონის ტაძარის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და „მინდაციხის“ მიმდებარედ, დასასვენებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; სოფელ ნიკორწმინდაში, ე.წ. საყინულეს ქვაბულამდე მისასვლელი ბილიკის, დასასვენებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; აგარასა და ზნაკვაში, ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; სხვავას ტერიტორიაზე, კრიხულის ხეობაში, რიცეულას ხეობაში, სხარტალის ჭალის მიმდებარედ და სოფელ თხმორის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ. შაშვის წყალზე, დასასვენებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს ან დაგეგმილია ახალი პროექტები, მათ შორის: ქ. ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭის კეთილმოწყობა; ქ. ამბროლაურში, კოსტავას ქუჩის კეთილმოწყობა; ქ. ამბროლაურში, კრიხულას სანაპიროს კეთილმოწყობა; ქ. ამბროლაურში, „ქვაბტკრის“ მიმდებარედ ამფითეატრის კეთილმოწყობა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2020 წელს მუნიციპალიტეტში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** მზადდება ტყის მართვის გეგმა. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**. 2013-2020 წლებში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 139 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.**

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ამზადებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ამბროლაურში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 12 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა, აშენდა 4 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 3,2 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი, ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 15 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 628 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ამბროლაურის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 8 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სოფელ ჭყვიშის გზის რეაბილიტაცია

2021-2022 წლებისთვის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ.ამბროლაურში, ბრატისლავა-რაჭის ქუჩის კეთილმოწყობის I ეტაპი – 4 306 758 ლ;
- სოფ. კვაცხუთის საუბნო გზის რეაბილიტაცია – 762 295 ლ;
- სოფ. ხვანჭკარაში სასოფლო გზის რეაბილიტაცია – 597 486 ლ;
- ქ. ამბროლაურში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია – 1 319 260 ლ;
- სოფ. ჭყვიშში საუბნო გზების (II ეტაპი) რეაბილიტაცია – 740 688 ლ;
- სოფ. კვირიკეწმინდის (მესხების უბნის) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია წყალსაქაჩი სადგურების გამოყენებით – 107 127 ლ;
- სოფ. ზემო კრიხის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია – 98 919 ლ;
- სოფ. ლიხეთის კანთელაძეების უბნის ტექნიკური წყლით წყალმომარაგების სისტემის მოწყობა – 103 772 ლ;
- სოფ. საკეციის (მიქიაშვილების უბნის) წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია – 66 749 ლ;
- სოფ. კაჩაეთში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 540 000 ლ;
- ქ. ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქ. მიმდებარე სკვერის მოწყობა – 90 000 ლ;
- სოფ. ურავის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 83 532 ლ;
- ქ.ამბროლაურში გამსახურდიას ქუჩაზე – აგრარული ბაზრის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა – 56 563 ლ;
- სოფ. ხიმშში სპორტული მინიმოედნის მოწყობა – 58 010 ლ;
- ნიკორწმინდის ტაძრისა და შაორის ტბის მიმდებარედ, ქორწინების უფასო რეგისტრაციის ღია სივრცის მოწყობა – 70 000 ლ;
- სოფ.ველევის გზაზე მდ. ველეულაზე ხიდისა და შხივანის ბოგირის რეაბილიტაცია – 78 083 ლ;
- მდ. ხოტეურას ნაპირსამაგრი სამუშაოები – 287 293 ლ;
- სოფ.გორის ცენტრამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 136 792 ლ;
- ქ.ამბროლაურში დახურულ სპორტდარბაზთან, დაზიანებული ბეტონის კედლისა და გზის საფარის აღდგენა – 174 000 ლ.

ზვიად (დავით) მხეიძე: „ვიცი, რა სჭირდება ამბროლაურს და რა უნდა გავაკეთო გამარჯვების შემდეგ“

ზვიად (დავით) მხეიძეს ამბროლაურში კარგად იცნობენ. აქ დაბადებულ-გაზრდილია, მთელი ცხოვრება აქ გაატარა და ამბობს, რომ არასდროს აპირებს მშობლიური მუნიციპალიტეტის მიტოვებას.

ბოლო 4 წელია ამბროლაურის მერის მოვალეობას ასრულებს. მანამდე კი, ამბროლაურის მაცხოვრებლებს თავი სხვადასხვა პოზიციიდან დაამახსოვრა – ჯერ კიდევ 1990-იან წლებში, პროფესიით მშენებელი რაჭაში მიწისძვრით დაზიანებული შენობების აღდგენა-რეაბილიტაციაში აქტიურად იყო ჩართული; 2 წელი „ენერგოპროჯირჯიას“ გაერთიანებული რაჭის მომსახურების ცენტრის მენეჯერი იყო. სხვათაშორის, ეს თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე მაშინვე დატოვა, როცა წინა ხელისუფლებისგან მისთვის „მიუღებელი დავალებები“ მიიღო. ამის შემდეგ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის განყოფილების უფროსი გახლდათ. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და აშენდა ამბროლაურში არქიტექტურითა და ინფრასტრუქტურით უნიკალური საჭიდაო დარბაზი.

ამბროლაურის მერის პოზიციიდან გაკეთებული საქმეების ჩამონათვალიც საკმაოდ მოცულობითია. ბევრია გარდამავალი პროექტიც. ამბობს, რომ მისი მთავარი მიზანი ამ პროექტების დასრულებაა. ამბობს იმასაც, რომ ამბროლაურში, სოფლებისა და უბნების კი არა, ოჯახების დონეზე იცის, ვის რა სჭირდება და სწორედ ამ საჭიროებებიდან გამომდინარე აქვს შედგენილი გეგმა, რომლის განხორციელებასაც გამარჯვების შემთხვევაში, 3 ოქტომბრიდანვე შეუდგება.

ამბროლაურის მერობის კანდიდატი ზვიად (დავით) მხეიძე გამარჯვებაში დარწმუნებულია და ამის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც ასახელებს, რომ ზურგს უალტერნატივო გუნდი – „ქართული ოცნება“ უმაგრებს.

დაიბადა 1968 წლის 11 იანვარს, ქ. ამბროლაურში. დაამთავრა ამბროლაურის №2 საშუალო სკოლა; 1988 წელს ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში – სამშენებლო ფაკულტეტზე. 2000-2003 წლებში მუშაობდა შპს „ამბროლაურის კომუნალურში“ ინჟინრის პოზიციაზე. 2004 წელს მუშაობა დაიწყო „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში“ ამბროლაურის ფილიალის დირექტორად, შემდეგ სს „ენერგო–პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ჯერ ამბროლაურის, შემდეგ კი რაჭის მომსახურების ცენტრის მენეჯერად. 2010 წელს დაინიშნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსად; 2014–2017 წლებში მუშაობა განაგრძო ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის პოზიციაზე. 2017 წლის ნოემბრიდან არის ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ბატონო ზვიად, თქვენი აზრით, გუნდმა ნდობა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ და ამბროლაურის მერობის კანდიდატად დაგასახელათ?

– 2017 წელს, მერობის კანდიდატობის დროს რა დაპირებებიც გავეცით, ყველა შესრულდა. საკმაოდ მრავალფეროვანი, მუნიციპალიტეტისთვის საჭირო და აუცილებელი პროექტები განვახორციელეთ. ყველა პრიორიტეტი შევარჩიეთ მოსახლეობასთან შეხვედრებისას, მათთან შეთანხმებით. ყოველ წელს, ბიუჯეტს მათი აზრის და საჭიროების გათვალისწინებით ვგეგმავდით. მთავარი ჩემთვის სწორედ ესაა – მეტი სითბო, მეტი ურთიერთობა მოსახლეობასთან. უნდა მიგიღონ შინაურად, დისტანცია არ უნდა დაიჭირო, მათი იმედი უნდა იყო. როგორც საკუთარი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, ისე მქონდა ყველასთან ურთიერთობა. თანხების ათვისების კუთხითაც ჩვენი მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი მოწინავე იყო. ჩვენი 4-წლიანი ბრძოლის შეფასების შემდეგ მიიღეს ალბათ ეს გადაწყვეტილება. მადლობელი ვარ, რომ ნდობა ისევ გამომიცხადეს. დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის, რომ ისევ დამეკისრა ეს რთული და საინტერესო მისია. მე აქ დაბადებული და გაზრდილი ვარ, აქედან წასვლას არსად ვაპირებ და დიდი პატივია, ვემსახურო ჩემს ამბროლაურს და ჩემ ხალხს.

– ამ ოთხ წელიწადში ადგილობრივი ბიუჯეტის რამდენპროცენტიანი ზრდა გქონდათ და რა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში?

– ამ პერიოდში ჩვენი, ადგილობრივი, მუნიციპალური ბიუჯეტი დაახლოებით 300%-ით გაიზარდა და ეს თანხა, ჩვენი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე გამოვიყენეთ. არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რამდენიმე – ისტორიული მნიშვნელობისაც. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში იყო ფეხბურთის სტადიონის პრობლემა. ამ საკითხის გადაჭრა ადგილობრივების მუდმივი მოთხოვნა გახლდათ. ჩემი მერობის პერიოდში გაკეთდა, „ფიფას“ სტანდარტების შესაბამისი 2 დიდი სტადიონი, თავისი ინფრასტრუქტურით. ეს ფაქტობრივად, ამბროლაურელების ახდენილი ოცნებაა. ამას გარდა, სოფლამდე მისასვლელი გზები ასფალტო-ბეტონის საფარით დაიფარა, მოწესრიგდა წყალმომარაგების სისტემები. ბევრს ჩაუტარდა რეაბილიტაცია და წყლის საკითხი მოგვარდა, მაგრამ გარკვეულ სოფლებში ამ მიმართულებით გამოწვევა ისევ რჩება, რასაც აუცილებლად მოვაგვარებთ. უწყლოდ დარჩენილია ერთი სოფელი, ხონჭიორი. აქ წყლის დებეტის პრობლემა იყო, რომელიც მოვიძიეთ. უკვე პროექტი შედგენილია და 2022 წლის გაზაფხულზე აქაც დაიწყება სამუშაოები. აქამდე ამ სოფელს საერთოდ არ ქონია წყალი და იმედი მაქვს, ხალხი მხარს დამიჭერს და ეს პროექტი ჩემი მერობის პერიოდში განხორციელდება. ქალაქის შემოსასვლელის, ბრატისლავა-რაჭის ქუჩის კეთილმოწყობა მიმდინარეობს და 4 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება ამ პროექტისთვის. წესი-ურავის გზა კეთდება, ნიკორწმინდა-ჭერბალოს დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციისთვის 15 მილიონი ლარია გამოყოფილი. ეს მონაკვეთი 8 სოფელს მოიცავს. მიმდინარეობს ასევე გაზიფიცირების სამუშაოები. 23 სოფელში უკვე არის ბუნებრივი აირი, 2024 წლისთვის, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მთელ მუნიციპალიტეტში უნდა იყოს გაზიფიცირების პროცესი.

– როგორც ჩანს, კოვიდ 19-მა ვერ შეგიშალათ ხელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში. პანდემიის მართვაშიც აქტიურად მონაწილეობდით?

– ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის პანდემიას ხელი არ შეუშლია. მის მართვაში კი, აქტიურად ვმონაწილეობდით და ვფიქრობ, ეფექტურადაც. მაქსიმალურად ვაკონტროლეთ იზოლაციაში მყოფი ადამიანები. დავეხმარეთ, ვისაც რა სჭირდებოდა და რაც შეგვეძლო. შემდეგ კი, აქტიურად ჩავერთეთ ვაქცინაციის პროცესში: ხალხს დარეგისტრირებაში ვეხმარებოდით, ტრანსპორტირებასაც ვუწევდით და ზოგადად, პროპაგანდასაც ვეწეოდით, რომ ვაქცინაცია და რეგულაციების დაცვა,

ამ ეტაპზე, პანდემიის დასრულების ერთად ერთადერთი შანსია.

– განხორციელებული პროექტების ჩამოთვლა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი პროექტით დაიწყეთ. პანდემიის პერიოდში ახალგაზრდა ოჯახები ხომ არ დაუბრუნდა ამბროლაურს?

– შარშან არაერთი ოჯახი ჩამოვიდა და ძალიან სასიხარულოა, რომ მათ შორის, რამდენიმე ათეული ოჯახი დარჩა. ისინი აქ აპირებენ დამკვიდრებას. სამეურნეო საქმიანობაც წამოიწყეს, ვენახები გააშენეს. მიგრაციის პროცესი ჩვენთან ძალიან მწარედ იდგა და რაც მერი ვარ, 200 ოჯახი დაუბრუნდა ფესვებს. დარწმუნებული ვარ, ეს პროცესი გაგრძელდება იმის ფონზე, რომ ჩვენ ყველა პირობას ვქმნით ცხოვრებისა და არსებობისთვის.

– დაბრუნებულმა ოჯახებმა ან ადგილობრივებმა სამეურნეო საქმიანობების წამოწყებისას, იმ ხელშემწყობი პროგრამებით ხომ არ ისარგებლეს, რომლებსაც მათ ხელისუფლება სთავაზობს?

– არაერთმა ისარგებლა მსგავსი პროექტით. სოფლის მეურნეობის განვითარებას აუცილებლად უნდა შევუწყოთ ხელი. უამრავი სასიკეთო პროგრამა არსებობს, მაგალითად, „დანერგე მომავალი“, „აწარმოე საქართველოში“. აგრობიზნესის განვითარებას ხელისუფლება ხელს უწყობს. გაიხსნა ღვინის ქარხნები. გაშენდა ვენახი. გაიხსნა რაჭული თაფლის კოოპერატივებიც. ასევე მეამაყება, რომ ჩემი მერობის დროს მოვიზიდეთ არასამთავრობო ორგანიზაციები და მათთან ერთად არაერთი პროექტი განხორციელდა. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის და ზრდასრულებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრი. ასევე არის ზრდასრულთა განათლების ცენტრი, სადაც ნებისმიერი ასაკის ადამიანს შეუძლია ნებისმიერ პროფესიას დაეუფლოს. გაიხსნა კოლეჯიც, რომელსაც ექნება თავისი საცხოვრებელი კამპუსი, სპორტული მოედანი, ინფრასტრუქტურა.

– ყოველთვის ამბობდით, რომ ამბროლაურის განვითარების გასაღები ტურიზმია. ეს სფერო ამბროლაურში პანდემიის მიუხედავად ვითარდება?

– ტურიზმი ამბროლაურის და ზოგადად, რაჭის განვითარების პერსპექტივაა. ჩვენთან, პანდემიის მიუხედავად, ტურიზმი ძალიან განვითარდა. მუნიციპალიტეტში უკვე 100 საოჯახო და 8 დიდი სასტუმროა. ვითარდება გასტრონომიული და ღვინის ტურიზმი. ეფექტურად მიმდინარეობს რაჭული ლორის წარმოება. არის დაახლოებით 30 საოჯახო მარანი. ჩვენი ხვანჭკარა უამრავ ტურიზმს იზიდავს. გვაქვს ასევე ძველი რაჭული ყურძნის ჯიშებიც.

– ამ ფონზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღეს უმუშევრობა ამბროლაურისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა აღარ არის?

– წინა წლებთან შედარებით ნამდვილად შემცირდა უმუშევართა რაოდენობა, თუმცა გამოწვევა ისევ არის. ჩემი მერობის პერიოდში 8 დიდი ქარხანა გაიხსნა. ღვინის, წყლის ქარხნები. ჩვენთან არის „ჯეო-ფლაუერი“, რომელიც მარტინ ბაუერთან თანამშრომლობს, ზრდის წარმოებას ყოველწლიურად და ახალ კადრებს იმატებს. ამ კომპანიას ტყის პროდუქტები გერმანიაში გააქვს ექსპორტზე. აშენდა ბეტონის ქარხანა. ანუ, უმუშევართა რაოდენობა შემცირდა. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ზოგადად რაჭაში, ცხოვრების დონე არის ნორმალური. ერთი ტონა სახვანჭკარე მასალა რომ მოიყვანოს კაცმა, 7 ათასი ლარი აქვს შემოსავალი წლის განმავლობაში მარტო პატარა ვენახიდან. არის ოჯახები 5-10 ტონას აბარებენ. ამიტომაა ამ მიმართულებით დიდი დაინტერესება და წარმოიდგინეთ – 2017 წელს დაახლოებით 700-800 ტონა ბარდებოდა სახვანჭკარე მასალა და წელს, 2500 ტონა ჩაბარდა. დაახლოებით 14 მილიონი ლარი შემოსავლის სახით დარჩა გლეხობას მარტო მევენახეობით. ძალიან გახარებულები არიან მევენახეები, რომ წელსაც ხელისუფლებამ რთველის სუბსიდირება მოხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მოთხოვნა და შესაბამისად დაინტერესება იზრდება სოჭის გირჩზეც. იმ ზონაში, სადაც ვენახები არ არის, ხალხი სოჭის გირჩით იძენს კარგი შემოსავლის წყაროს.

– ეს ძალიან კარგია, მაგრამ ალბათ არიან შეჭირვებულებიც. მერია მათ სათანადოდ ეხმარება?

– რა თქმა უნდა არიან და მათ არაერთ პროგრამას ვთავაზობთ. ვეხმარებით სოციალურად დაუცველებს, მარჩენალდაკარგულებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ოპერაციების თანადაფინანსებაში შევდივართ, ვისაც ამის საჭიროება აქვს. ონკოლოგიურ პაციენტებს 2500 ლარით ვეხმარებით. ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებით საინტერესო პროგრამები გვაქვს და ამ კუთხით, დაახლოებით 700-800 ათასი ლარი იხარჯება ყოველწლიურად. ზოგადად, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ჩვენ მოქალაქეებს ყოფა შევუმსუბუქოთ. ამბროლაურელების კეთილდღეობაზე ვზრუნავთ. 4 წელია მერი ვარ და სოფლებისა და უბნების კი არა, უკვე ოჯახების დონეზე ვიცი, რა სჭირდებათ ადგილობრივებს. ზუსტად ვიცი რა მიმართულებით უნდა ვიარო არჩევნების შემდეგ. გეგმა მაქვს. რა თქმა უნდა უპირველესად დაინტერესებული ვარ, რაც ვერ მივიყვანეთ ბოლომდე ამ 4 წლის განმავლობაში ან ვერ შევძელით, ის საკითხები მოვაგვაროთ.

– საინტერესოა, გეგმაში პირველ პუნქტებად რა გიწერიათ, პირველი რიგის ამოცანები რა არის?

– ისევ და ისევ წყალმომარაგების საკითხის გაგრძელება და გზა. 20-მდე სოფელში დავაგეთ ასფალტო-ბეტონის გზები. გვაქვს 69 სოფელი. მომდევნო წლებში, აუცილებლად, ყველა სოფლამდე მისასვლელი გზა უნდა იყოს ასფალტობეტონით მოწყობილი. და, რა თქმა უნდა, გაზიფიცირება უნდა გაგრძელდეს. დარწმუნებული ვარ ამას სწრაფად და ეფექტურად მოვაგვარებ, რადგან ზურგს მიმაგრებს გუნდი – ყველაზე მართალი, კაცთმოყვარე ხელისუფლება. მჯერა, მართალ საქმეს ვაკეთებთ და სწორი მიმართულებით მივდივართ. დარწმუნებული ვარ, არჩევნები მშვიდობიანად ჩაივლის და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

ზვიად მხეიძის ბავშვობის სიყვარული და საამაყო შვილები

აბროლაურში მის ოჯახს კარგად იცნობენ. დედითაც რაჭველია და მამითაც. მამა, ანზორ მხეიძე წლების განმავლობაში ვაჭრობის სფეროში მუშაობდა. სამწუხაროდ გარდაიცვალა, რაც ოჯახის დიდი ტრაგედიაა. დედა, რუჟო უთმელიძე, დიასახლისი გახლავთ. ჩეხური სახელი ქალბატონ რუჟოს ომის ვეტერანმა მამამ იმ ჩეხი ექთნის პატივსაცემად დაარქვა, რომელმაც სიკვდილისგან იხსნა. ქალბატონი რუჟო ყოველთვის ნერვიულობს, როცა შვილი მაღალ თანამდებობაზეა, რადგან იცის, ძალიან პასუხისმგებლიანია; მაგრამ თან ამაყობს იმით, რომ მშობლიური მუნიციპალიტეტის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

ამბროლაურთან დიდი ემოციური კავშირი აქვს – აქ დაიბადა, აქ გაატარა ლაღი ბავშვობა. ფეხბურთს, კალათბურთს თამაშობდა. მძლეოსნობაში სპორტული მიღწევებიც ჰქონდა. სკოლიდან მოვიდოდა თუ არა, გაკვეთილებს მოამზადებდა და შემდეგ მეგობრებთან ერთობოდა. ამბროლაურში გატარებულ წლებს უფროს დასთან, ხათუნასთან ერთად ხშირად იხსენებს. ხათუნა მხეიძე პროფესიით ექიმი, მეან-გინეკოლოგია, სამი შვილის დედა. კანდიდატის თქმით, მათ შესაშური და-ძმობა აქვთ.

მეუღლეც ამბროლაურში გაიცნო. ერთ სკოლაში სწავლობდნენ, ოღონდ მეგი ყიფიანი მასზე დაბალ კლასში იყო. „ბავშვობიდან ვიცნობ. სკოლა დაამთავრა თუ არა, ვტაცე ხელი და ცოლად მოვიყვანე“, – ღიმილით გვიმხელს ბატონი ზვიადი, რომ მეგი მისი ბავშვობის სიყვარულია. ქალბატონი მეგი პროფესიით პედაგოგია, მაგრამ დღეს კერძო საქმიანობითაა დაკავებული.

წყვილს ორი ქალიშვილი ჰყავს. 28 წლის ლილე პროფესიით ტელერადიოჟურნალისტია. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მედიასაშუალებაში მუშაობდა. მათ შორის, იყო „მაესტროს“ დილის გადაცემაშიც. ამჟამად უძრავი ქონების სააგენტოში მუშაობს. 25 წლის მარიამი პროფესიით იურისტია. მაგისტრატურა დაამთავრა და მუდმივად ვითარდება პროფესიული თვალსაზრისით. მარიამი ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომელია. კანდიდატი ამაყობს, რომ მისი შვილები მიზანდასახულები, შრომისმოყვარეები, დამოუკიდებლები და რაც მთავარია, კარგი ადამიანები არიან.

ამბობს, რომ ჩვეულებრივ, ტრადიციულ, რაჭულ ოჯახში გაზრდილმა შვილები თანამედროვედ, მაგრამ მშობლებისგან ნასწავლ ტრადიციებზე აღზარდა. გოგონებთან ძალიან თბილი, მეგობრული ურთიერთობა აქვს. მხოლოდ იმაზე სწყდება გული, რომ ოჯახისთვის ხშირად ვერ იცლის. გული მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ქალბატონებსაც სწყდებათ, მაგრამ არ საყვედურობენ – იციან, ახლა მისი საზრუნავი ამბროლაური და მისი განვითარებაა!

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 17 170 683 ლარი, დაფინანსდა 26 205 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (459 796,2 ლართ დაფინანსდა 41 372 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (1 106 170 ლარით დაფინანსდა 14 074 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (10 668 680 ლარით დაფინანსდა 6767 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 311 162 ლარით 2 838 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (476 627 ლარით დაფინანსდა 807 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (803 343 ლარით დაფინანსდა 1358 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, ამბროლაურში, დაფინანსდა 5025 ბენეფიციარი (304 659 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს, იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 100% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ამბროლაურში,** სტაციონარული მკურნალობით 30-მა (115 310 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 307-მა პაციენტმა (41 719 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღები იყო 1300 ორსული (69 895 ლარი), მედიკამენტების – 282.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 427 პირი (96 306 ლარი).**

2012 წლის შემდეგ, **ამბროლაურის** მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ამბროლაურში, 2013-2021 წლებში სულ 344 შემთხვევა 356 136 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ამბროლაურის მუნიციპალიტეტს 64 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

სოფელ სადმელის ამბულატორიის შენობის საძირკვლის მშენებლობა (5 821 ლ), ზემო ჟოშხაში თავშეყრის ადგილის შენობის მოწყობა (ამჟამად ამბულატორია – 8 072 ლ), ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: ჭელიაღელე, სხვავა და ლიხეთი (41 435 ლ), ნიკორწმინდა და ხოტევი (46120 ლ). საკეცია, ბუგეული და ქვიშარი (37 214 ლ). ამბულატორიების მშენებლობა სოფლებში: ჭრებალო (74 999 ლ). ხიდიკარი (74 999 ლ), ჭყვიში (74 999 ლ), ჯვარი-ქედისუბანი (74 999 ლ). დაგეგმილია: სოფელ მეორე ტოლაში ამბულატორიის რებილიტაცია (85 000 ლ).

მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები როგორიცაა ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამა, ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, ხანგრძლივად მოავადე პაციენთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა.

2013 წელთან შედარებით **7-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 294,6 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 42,0 ათასი ლარი იყო.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას და ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.
- 2021 წლიდან იგეგმება სამედიცინო მომსახურების პროგრამით ქირურგიული მომსახურების განხორციელება სარეიტინგო ქულის გარეშე.

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი – 275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღები 3 589 პირია (01.04.2021 წ.). 2012 წლის შემდეგ 1,9-ჯერ – 5 158 236 ლარიდან 9 873 110 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ 65 832 042 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ამბროლაურში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 44 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 3,6-ჯერ – 69 056-დან 248 937 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1 628 209 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ამბროლაურში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2050 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ 2,4-ჯერ, 1 245 ათასიდან 2988 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 22 843 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 10 502 ათასი, შშმ პირებზე – 2462 ათასი, ბავშვებზე – 4 231 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ამბროლაურში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 539 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,8-ჯერ – 159 301-დან 939 552 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 6 126 889 ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 118 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 57 540 ლარიდან 63 450 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წ.წ. სულ დაიხარჯა 555 783 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართობი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ამბროლაურში** დაკმაყოფილდა 10 ოჯახი – მათ შორის: პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 9 ოჯახს შეუსყიდა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 1 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი) ამბროლაურში დაფინანსებულია 82 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 881 050 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 169 700 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილია – 1 147 725 ლარი.

სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ამბროლაურში, ჩართული იყო 795 ოჯახი, 2021 წელს – 820 (ივნისის მდგომარეობით). **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 81-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 89-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ამბროლაურში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 190 პირი, 2021 წ. – 189 (ივნისის მდგომარეობით). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

სოციალური დაცვის სფეროს მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების პროგრამა, 10 000 - მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და საალდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა, ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 – დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება ერთჯერადი ფულადი დახმარება, მრავალშვილიან (სამი და მეტი 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება ერთჯერადი ფინანსური დახმარება, მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება ერთჯერადი ფინანსური დახმარება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- 2022-2024 წლებში, დამატებით ამოქმედდება პროგრამები, რომლის ფარგლებში განხორციელდება უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა და ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევა – ვეტერანებისათვის ღირსეული პატივის მიგება.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ამბროლაურში ფუნქციონირებს 14 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (მათგან 1 – ქ. ამბროლაურში, 13 – სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. ამბროლაურში მნიშვნელოვნად **გაიზარდა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება.** 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1 მლნ 664,2 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის, 962,5 ათასი – სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 273 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტები. მათ შორის:

2014-2017 წლებში მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის 16 პროექტზე, ჯამში, 676 ათასი ლარი დაიხარჯა. 2014 წელს – ქ. ამბროლაურის (27,1 ათასი ლარი), სოფელ სადმელის (46,2 ათასი ლარი), ნიკორწმინდის (24,2 ათასი ლარი), ჭრებალოს (42,8 ათასი ლარი), წესის (18,5 ათასი ლარი), ბოსტანას (46,7 ათასი ლარი), ბუგეულის (8,7 ათასი ლარი), ლიხეთის (14,2 ათასი ლარი), ხიდიკარის (10,6 ათასი ლარი), ჭყვიშის (38,2 ათასი ლარი), ურავის (55,3 ათასი ლარი), ჭელიაღელის (47,5 ათასი ლარი), ხვანჭკარის (11,9 ათასი ლარი), ქალაქ ამბროლაურის (46 ათასი ლარი) საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია (ჯამში – 412,5 ათასი ლარი). **2015 წელს** ახალი საბავშვო ბაღი აშენდა სოფელ ბუგეულში (121,4 ათასი ლარი). **2016 წელს** ახალი საბავშვო ბაღი აშენდა ჟოშხაში (82,7 ათასი ლარი). **2017 წელს** ქალაქ ამბროლაურში საბავშვო ბაღის შენობის I რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 59,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2018 წელს** განხორციელდა სადმელის საბავშვო ბაღის რემონტი. **2019 წელს** განხორციელდა ნიკორწმინდის საბავშვო ბაღის რემონტი. **2020 წელს** ამბროლაურის საბავშვო ბაღების სამზარეულოებში გაზის ქურები შეიცვალა ელექტროქურებით, ყველა საბავშვო ბაღში გაძლიერდა ელექტრომრიცხველები.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 129-დან 337-მდე გაიზარდა. 1,75-დან 4.26 ლარამდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი.

სასკოლო მზაობის პროგრამაში, ქალაქსა და სოფლად, სასკოლო ასაკის 72 ბავშვი და 15 პედაგოგია ჩართული. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს ემსახურება 26 აღმზრდელ-პედაგოგი, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს 11 ექთანი/ექიმი და 10 ფსიქოლოგი ემსახურება.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 22 საჯარო სკოლა (ქალაქში – 2, სოფლად – 20), სადაც 1048 მოსწავლე და 281 მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 20 სსსმ მოსწავლე. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 5 საჯარო სკოლაში. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე 4 ექიმი ზრუნავს. 2 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 4 მანდატური იცავს.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპა-

ლიტეტში განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგ-პროგრამები, მათ შორის:

პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 124 მოსწავლე იყო ჩართული. 2017-2018 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით საჯარო სკოლებში 28 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე დაფინანსდა, 2017-2020 წლებში ფინანსურად ხელი 57 სასკოლო აქტივობის განხორცელებას შეეწყო. 2017-2019 წლებში სასკოლო აქტივობების 30 პროექტი დაფინანსდა. **ზოგადი განათლების ხელშეწყობის** პროგრამით, 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 951 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** საჯარო სკოლების უზრუნველყოფის 46 პროექტი განხორციელდა. 2015-2019 წლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით** აღჭურვის 10 პროექტი განხორციელდა. **ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები** („ახალი სკოლის“ მოდელი), **2020 წელს,** მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების სისტემა დაინერგა მუნიციპალიტეტის 4 საჯარო სკოლაში. 2021 წელს „ახალი სკოლის“ მოდელი, დამატებით, 7 სკოლაში დაინერგა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით ამბროლაურის 15 საჯარო სკოლის (39 მიმართულება) 202 მოსწავლე სარგებლობს. 2017-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს, ჯამში, 547 **სასკოლო ჟურნალი** და 27 585 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, საჯარო სკოლების პირველკლასელებს საჩუქრად 596 კომპიუტერი გადაეცათ, 93 – კლასის დამრიგებლებს, პორტაბელური კომპიუტერით დასაჩუქრდა 44 წარჩინებული მოსწავლე. **2013-2019 წლებში,** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ჯამში, 50 **ოქროს და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების** მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 32 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 9 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 10 საჯარო სკოლა. მათ შორის:

2013 წლიდან განხორციელდა ამბროლაურის №1, №2, კვაცხუთისა და ნიკორწმინდის საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაზეც სულ 60,9 ათასი ლარი დაიხარჯა; დაიწყო პროფესიული კოლეჯის „ერქვანი“ მშენებლობა (1 მლნ 441,9 ათასი ლარი); **2014** წელს განხორციელდა 4 საჯარო სკოლის (ბუგეულის, ველევის, ურავის და ბოსტანის საჯარო სკოლები) ნაწილობრივი რეაბილიტაცია, რაც ჯამურად 254,9 ათასი ლარით დაფინანსდა; **2015** წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ამბროლაურის №1 და №2, ჭრებალოს, ბუგეულის, ველევის, ურავის, ჟოშხის, ჭრებალოს, ბოსტანასა და ბუგეულის საჯარო სკოლებს; 3 საჯარო სკოლაში (ამბროლაურის №1, №2 და ჭრებალოს სკოლები) მოეწყო სამედიცინო ოთახები, რაზეც სულ 732,8 ათასი ლარი დაიხარჯა; **2016** წელს მუნიციპალიტეტში განხორციელდა 2 საჯარო სკოლის (ქ.ამბროლაურის №1 და ბუგეულის საჯარო სკოლები) ნაწილობრივი რეაბილიტაცია და სოფელ ბუგეულის საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა, რაზეც სულ 252,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

2017 წელს დასრულდა: ქ. ამბროლაურის №1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სახურავი, გარე სპორტული მოედანი) – 72,5 ათასი ლარი; სოფელ ბოსტანას საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სახურავი, ტერიტორიის კეთილმოწყობა) – 80,9 ათასი ლარი; ქ. ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტირება/ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 56,3 ათასი ლარი. **დაფინანსდა:** სოფელ ჭრებალოს საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (3,6 ათასი ლარი); სოფ. სადმელისა (4,6 ათასი ლარი) და ბუგეულის (1,4 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში სამედიცინო ოთახების მოწყობა; ჭრებალოსა (1,4 ათასი ლარი) და წესის (5 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში გათბობის სისტემის რეაბილიტაცია.

2019 წელს საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 7 პროექტზე ჯამში, 342,9 ათასი ლარი დაიხარჯა. განხორციელდა: ქ. ამბროლაურის №2, სოფელ კვაცხუთის, ნიკორწმინდის, სადმელის, წესის, ქვედა თლუღის, ბუგეულის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. დასრულდა ამბროლაურის შშმ და სსსმ პირებისათვის განკუთვნილი დღის საგანმანათლებლო ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ყოფილი საავადმყოფოს შენობაში მოეწყო (48 ათასი ლარი).

2020 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 12 პროექტი განხორციელდა, რაც, ჯამში, 294 ათასი ლარით დაფინანსდა. განხორციელდა ქ. ამბროლაურის #2, სოფ. ჭრებალოსა და ბუგეულის სკოლების შენობების რეაბილიტაცია, სოფ. ქელიაღელის, ველევის, თლუღის, ჩორჯოს, პატარა ონის, ხვანჭკარის, ლიხეთის, კვაცხუთის, წესის საჯარო სკოლებში კი მოეწყო წყალმომარაგების ქსელები, მოწესრიგდა საპირფარეშოები. იმავე პროგრამის ფარგლებში, **მიმდინარეობს** სოფელ ბუგეულის საჯარო სკოლაში სეპტიკის მოწყობა, წყალკანალიზაციის რეაბილიტაცია, ელექტროობის რეაბილიტაცია (84,5 ათასი ლარი). **დასრულდა** სოფელ ჭყვიშის, 60 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის მშენებლობა – 1 მლნ 200 ათასი ლარი, სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

პროფესიული განათლება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯი „ერქვანი“. 2020 წლისთვის კოლეჯი **პროფესიულ-საგანმანათლებლო 3 მოდულურ პროგრამას** ახორციელებს: ელექტროობა, ბუღალტრული აღრიცხვა, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა. ავტორიზაციის ფარგლებში, კოლეჯს აქვს 100-მდე სტუდენტის მიღების უფლება. 2013-2020 წლებში, ჯამში, ჩაირიცხა 353 სტუდენტი (მათ შორის 10 – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) პირი), იმავე წლებში, კოლეჯი 243-მა სტუდენტმა დაამთავრა (მათ შორის 5 – სსსმ პირია). 2020 წელს პროფესიულ პროგრამებში 49 სტუდენტი იყო ჩართული (მათ შორის 5 – სსსმ პირი). სტუდენტების განათლებაზე 48 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ზრუნავს.

2013-2016 წლებში, კოლეჯი ჩართული იყო საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტში: UNDP-ის პროგრამებში „უნარების განვითარება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით“, „პროფესიული განათლების და ტრენინგის პროგრამა საწყისი ფაზა“, „საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლებისა და გადამზადების, საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია“; USAID-ის პროგრამის Chemonics-ის საგრანტო პროექტის, „პროფესიული სწავლება ამბროლაურში“ ფარგლებში, მეფუტკრეობის მიმართულებით მომზადდა 2013 წელს – 45, ხოლო 2014 წელს – 15 კურსდამთავრებული.

კოლეჯის მასწავლებლები გადამზადდნენ შეფასების ინსტრუმენტების განვითარებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით. 2013 წელს აშენდა კოლეჯის სასწავლო კორპუსი, 2016 წელს კოლეჯში მოეწყო სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (ფაბლაბი). 2017 წელს პროფესიულ კოლეჯში „ერქვანი“ მოეწყო სამედიცინო ოთახი. 2019 წელს 75,7 ათასი ლარით დაფინანსდა კოლეჯში შშმ პირებისათვის ლიფტის მოწყობა.

2013-2020 წლებში, სახელმწიფოს მიერ კოლეჯის მიზნობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ, საერთო ჯამში, 1 მლნ 932,4 ათასი ლარი შეადგინა.

2021 წელს დასრულდა კოლეჯის **ახალი სასწავლო სახელოსნოების მშენებლობა.**

2017-2020 წლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით 4 პროექტი განხორციელდა.

2014-2020 წლებში, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, **საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების კურსები** 38-მა პირმა გაიარა.

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, ამბროლაური ერთადერთი მუნიციპალიტეტია რეგიონის მასშტაბით, სადაც პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები ხორციელდება. მუნიციპალიტეტში ასეთი 7 პროგრამაა ხელმისაწვდომი 3 დაწესებულებაში.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს** რაჭა ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის (ამბროლაური, ლენტეხი, ონი, ცაგერი) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთვრებულებს: 2018-2019 სასწავლო წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონიდან დაფინანსდა 15, 2019-2020 სასწავლო წელს – 15, 2020-2021 სასწავლო წელს – 15 სტუდენტი.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება და ყველასთვის ხელმისაწვდომი სასკოლო მზაობის ეფექტიანი პროგრამების განხორციელება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: ქ. ამბროლაურში, საბავშვო ბაღს (ბრატისლავა-რაჭის ქუჩა) ჩაუტარდება რეაბილიტაცია, სოფ. მეორე ტოლასა და ნიკორწმინდაში აშენდება ახალი საბავშვო ბაღები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება ჭრებალოს, ხვანჭკარისა და წესის საბავშვო ბაღების შენობებს;
- 2021-2025 წლებში, ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფები;
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ამბროლაურში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის: 2022 წელს დაგეგმილია სოფელ მეორე ტოლაში სკოლის ახალი შენობის მშენებლობა; 2021 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდება ამბროლაურის №1 საჯარო სკოლის შესასვლელი კიბის სრული რეაბილიტაცია – 30 ათასი ლარი;
- 2022 წელს იგეგმება კოლეჯ „ერქვანის“ სასწავლო კომპლექსის მშენებლობა; განვითარდება კოლეჯის საერთო საცხოვრებელი;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში განათლების ადმინისტრირების სფეროში მომუშავე თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება.
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-�პᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ქ. ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲡᲐᲮᲕᲘᲗᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, ᲐᲚᲘᲝᲨᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ (ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲑᲐᲠᲘ), ᲣᲩᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲝᲠᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, �გᲣᲠᲐᲛ ᲤᲐᲜᲯᲘ�კᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ, Ზ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲓᲐ 28 ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ 7 ᲙᲚᲣᲑᲘ.

2013 �წᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, **ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ.** 2020 �წᲔᲚᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ 960,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ, 2013 �წᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 317.9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ.

2014-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ, ᲔᲬᲧᲝᲑᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ (ᲔᲗᲜᲝ�გᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ, ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.), ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲗᲔᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ.

2014-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ:

2014-2018 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – ᲡᲝᲤ. ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲐᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲡᲝᲤ. ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲔᲬᲛᲘᲜᲓᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲡᲝᲤ. ᲡᲐᲙᲔᲪᲘᲐᲨᲘ ᲙᲚᲣᲑ-ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ, ᲡᲝᲤ. ᲖᲔᲛᲝ ᲦᲕᲐᲠᲓᲘᲐᲨᲘ ᲙᲚᲣᲑ-ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ, ᲡᲝᲤ. ᲚᲘᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲡᲝᲤ. ᲖᲔᲛᲝ ᲦᲕᲐᲠᲓᲘᲘᲡ ᲙᲚᲣᲑ-ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲙᲔᲗᲔᲑᲐ, ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲝᲚᲡᲐᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲡᲝᲤ. ᲭᲠᲔᲑᲐᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲡᲐᲓᲛᲔᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲡᲝᲤ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲝᲚᲡᲐᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲡᲝᲤ. ᲩᲠᲔᲑᲐᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲡᲐᲓᲛᲔᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, 89,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲰᲛᲐᲠᲓᲐ. **2019 ᲬᲚᲔᲚᲡ** ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲨᲨᲛ ᲓᲐ ᲡᲡᲚᲛ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘ (48 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ).

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲔᲒᲚᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, 2013-2016 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲝ, ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲡ: ᲡᲝᲤᲔᲚ ᲜᲘᲙᲝᲠᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲡ, ᲙᲚᲓᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ, ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲣᲚ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ, ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲐᲠᲥᲔᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘᲡ/ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ „ᲐᲠᲢᲠᲐ“, ᲠᲐᲖᲔᲪ ᲡᲣᲚ 122,1 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ.

2017 ᲬᲚᲔᲚᲡ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, �გᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲠᲬᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲬᲛ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲤᲐᲡᲐᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ, ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐ (ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲑᲭᲘ) ᲓᲐ ᲮᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, 299,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲐ.

2018 ᲬᲚᲔᲚᲡ ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐ-ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲜᲘᲙᲝᲠᲬᲛᲘᲜᲓᲐᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, 2019-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐ�პᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ; 2020 ᲬᲚᲔᲚᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲥᲔᲓᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐ�პᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ. ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲙᲝᲜᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲘᲡ, ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲙᲝᲜᲝᲡᲢᲐᲡᲘᲡ ᲮᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲠᲐᲖᲔᲪ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ, 200 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲔᲑᲐ.

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲖᲔ �გᲐᲓᲘᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ **„ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲕᲠᲝ�პᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲘ“,** ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲕ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ.

2019 ᲬᲚᲔᲚᲡ. **„ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲗ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ **„ᲘᲜᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲒᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲨᲘ“** ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲨᲘ (ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ, ᲛᲔᲡᲢᲘᲐ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ). ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ (ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ) ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲓᲐ�პᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ.

2020 ᲬᲚᲔᲚᲡ, **ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ,** ᲡᲡᲙᲞ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ, **„ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ“** ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ, ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ – **„ᲐᲠᲢᲠᲐ – 2020“,** ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲪ ᲛᲝᲘᲪᲕᲐ (10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ.)

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ: Ა(Ა)ᲘᲞ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, Ა(Ა)ᲘᲞ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲘ“, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲠᲐᲭᲐ“, Ა(Ა)ᲘᲞ ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ.

2013 ᲬᲚᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ **ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ.** 2020 ᲬᲚᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲖᲠᲓᲐ 1 ᲛᲚᲜ 221,1 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐ, 2013 ᲬᲚᲔᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 302,7 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲐ: ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ, ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ, ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲝ ᲓᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ: **2016 ᲬᲚᲘ** – �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲑᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲔ-3 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ; Ქ. ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲨᲘ �გᲣᲠᲐᲛ ᲡᲐᲦᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲝᲠᲘ ᲛᲔ-2 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲔ-3 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ; Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ – ᲛᲣᲠᲐᲓ ᲓᲝᲮᲢᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲝᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔ-2 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ; თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲚᲔᲠᲘ ᲮᲐᲑᲔᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ, ᲛᲔ-2 ᲐᲓᲒᲘᲚᲘ (ᲔᲠᲗᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲛᲔᲜᲘ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲗ); ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲐᲤᲐᲚ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲰᲞᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 19 ᲒᲐᲛᲐ

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სხვადასხვა პროექტი, მათ შორის:

2014-2016 წლებში – სოფელ ჭრებალოსთვის ფიტნესის სავარჯიშოების შეძენა-დამონტაჟება (9,5 ათასი ლარი); სოფელ პატარა ჩორღოში სპორტული მოედნის მოწყობა (5,7 ათასი ლარი); სოფელ წკადისში სპორტული მოედნის მოწყობა (4,1 ათასი ლარი).

2015-2021 წლებში – მუნიციპალიტეტში სასპორტო მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციის 32 პროექტი განხორციელდა, რაზეც, საერთო ჯამში, 3 მლნ 649,1 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის: **2017-2019 წლებში,** ქ. ამბროლაურში აშენდა ფეხბურთის სტადიონი (2 მლნ 247,1 ათასი ლარი), სტადიონის განათების მოწყობას კი 627,8 ათასი ლარი მოხმარდა (2019 წ.). ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები მოეწყო ქ. ამბროლაურსა და სოფლებში: სხვავა, წკადისი, ღადიში, პატარაონი, ქვ. ჟოშხა, მეორე ტოლა, ბუგეული, სადმელი, ძირაგეული, კვირიკეწმინდა, ლიხეთი, ხვანჭკარა, ნიკორწმინდა, სადმელი, საკეცია, ველევი, გორი, ჭელიაღელე, ქვიშარი, აბარი. **2016 წელს:** ქალაქ ამბროლაურის საჭიდაო დარბაზის იატაკის სარეაბილიტაციო სამუშაოებს 21,4 ათასი ლარი მოხმარდა; **2017 წელს:** დასრულდა ახალი საჭიდაო დარბაზის მშენებლობა სოფელ ჭრებალოში, რაზეც 305 ათასი ლარი დაიხარჯა; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ ამბროლაურში მდებარე დახურულ სპორტულ კომპლექსს, რაზეც 403 ათასი ლარი დაიხარჯა. ასევე, დასრულდა 11 მინისტადიონის მშენებლობა-რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სოფლებში, რაზეც სულ 835,2 ათასი ლარი დაიხარჯა. სოფ. ჭრებალოში კულტურულ-სპორტული, საგანმანათლებო ცენტრის შენობის მოწყობას 299 ათასი ლარი მოხმარდა.

2016-2019 წლებში გარე სავარჯიშო მოწყობილობების (ტრენაჟორების) დადგმის 6 პროექტი განხორციელდა, რასაც, საერთო ჯამში, 210,5 ათასი ლარი მოხმარდა. ტრენაჟორები დაიდგა ქ. ამბროლაურის სხვადასხვა ქუჩაზე და სოფელ ჭრებალოში.

2017 წელს: ქ. ამბროლაურში, ფეხბურთის სტადიონის მშენებლობაზე 628,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

2018 წელს: ქალაქ ამბროლაურში მდებარე საცურაო აუზის რეაბილიტაციაზე (ეზოს კეთილმოწყობა და ვენტილაცია–კონდიცირების სისტემის მონტაჟი) 242,1 ათასი ლარი დაიხარჯა: სოფელ ჭრებალოში სპორტკომპლექსის მოწყობის მეორე რიგის სამუშაოები განხორციელდა, რასაც 100 ათასი ლარი მოხმარდა. ქ. ამბროლაურში სტადიონის მშენებლობის მეორე რიგის სამუშაოებზე 1 მლნ 515 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდა.

2019 წელს: ქალაქ ამბროლაურში მდებარე საცურაო აუზის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (მე-2 ეტაპი) 182,2 ათასი ლარი დაიხარჯა; ქალაქ ამბროლაურში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოებს კი 36,4 ათასი ლარი მოხმარდა. განხორციელდა ქალაქ ამბროლაურის სტადიონის მოწყობის მესამე რიგის სამუშაოები, რაზეც, რეგიონული განვითარების ფონდიდან 626,4 ათასი ლარი დაიხარჯა.

2015-2019 წელს, სპორტული მოედნები მოეწყო ქ. ამბროლაურსა და სოფლებში: სხვავა, წკადისი, ღადიში, პატარა ონი, ქვიშარი, ქვ. ჟოშხა, მეორე ტოლა, ბუგეული, სადმელი, ძირაგეული, კვირეკეწმინდა, ლიხეთი, ხვანჭკარა, ნიკორწმინდა, საკეცია, ველევი, გორი, ჭელიაღელე, აბარი, ბაჯი.

2016-2020 წლებში ქ. ამბროლაურსა და სოფლებში (ჭრებალო, აბანოეთი) გარე სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობის 7 პროექტი განხორციელდა, რაზეც 210,5 ათასი ლარი დაიხარჯა.

2020 წელს ქალაქ ამბროლაურში დახურული სპორტული დარბაზის იატაკისა და ღია სპორტული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან 491,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

2013-2021 წლებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა. მათ შორის: 2013-2018 წლებში – სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 1 შიდა ჩემპიონატი (7,8 ათასი ლარი), 2 საერთაშორისო ტურნირი (6,4 ათასი ლარი) და 3 სასწავლო–საწვრთნელი შეკრება ჩაატარეს (62,2 ათასი ლარი). სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (14,4 ათასი ლარი) და მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (2,8 ათასი ლარი).

ამბროლაურში, 2018 წლის მარტში, ჩატარდა ჭიდაობაში საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში. 2019 წელს – საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობაში, საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში, 2020 წელს – საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში (ჭიდაობა); 2021 წელს – საქართველოს პირველობა ახალგაზრდებში, ჭიდაობა.

ახალგაზრდული პოლიტიკა

მუნიციპალიტეტში სისტემატურად ეწყობა საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკები, სასწავლო-შემეცნებითი ოლიმპიადები, სპორტული მარათონები, ფინანსდება ახალგაზრდული ინიციატივები (2020 წელს – 15 ათასი ლარი), ფინანსდება ახალგაზრდული საბჭოს საქმიანობა.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა მუნიციპალიტეტში განახორციელა პროექტი **– „შაორის მომავლის ბანაკი“,** რომლის მიზანი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, მოიცავდა არაფორმალური განათლების, სპორტულ და კულტურულ აქტივობებს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის სფეროში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის პროგრამა“ – „მოხალისეობის“ თემაზე ტრენინგ-სემინარი (25 მონაწილე); კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის პროგრამა – ცაგერი-ლენტეხი-ამბროლაური (30 მონაწილე); „რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ – ლაშქრობების მოწყობა რეგიონის მასშტაბით; „მოხალისეობის განვითარების პროგრამა“ (2-2 მონაწილე რეგიონის თითეული მუნიციპალიტეტიდან).

2020 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 1 ახალგაზრდული ორგანიზაცია (30 ათასი ლარი), დასაქმდა 3 ახალგაზრდა, ახალგაზრდული გრძელვადიანი სერვისი მიეწოდა ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 150-მდე ახალგაზრდას.

2020 წლის ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით, ამბროლაურში 1 ორგანიზაციის 3 თანამშრომელი სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა. აქედან 1-ის გადამზადება დაიწყო ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით. ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში ამბროლაურის ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი იყო. ახალგაზრდული მუშაკების გადამზადების სერტიფიცირების პროგრამაში ჩაერთო პროფესიული სასწავლებელი „ერქვანი“, გადამზადდა 2 ახალგაზრდული მუშაკი. 2021 წელს მობილური ახალგაზრდული მუშაკის გადასამზადებელ კურსზე ამბროლაურიდან შეირჩა 3 პირი.

სპორტული კომპლექსის სოფ. ჭრებალოში

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებმა განახორციელეს: „კვლევა შარეულას ხეობისთვის ბუნების ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად“; „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ჯანმრთელობის გარანტიაა“, რომლის მიზანი იყო ამბროლაურში ძველი, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგის (მებოსტნეობის) აღდგენა-განითარებაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოს შექმნა.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებით შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობიდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- 2023 წელს დაგეგმილია ღვინის მუზეუმის მოწყობა ქ. ამბროლაურში (2 მლნ ლარი);
- 2025 წელს ამბროლაურში გაიხსნება მუზეუმი (4 მლნ ლარი);
- იგეგმება ქალაქ ამბროლაურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია (4 მლნ 360 ათასი ლარი);
- 2025 წლამდე იგეგმება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიული სკვერისა მშენებლობა (1 მლნ ლარი);
- დასრულდება სოფ. ტოლის ეკლესიის რეაბილიტაცია და ჭელიშის სამონასტრო კომპლექსის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის სამრეკლოს რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია ბარაკონის ეკლესიის რეაბილიტაცია;
- 2022-2025 წლებში დაგეგმილია: ლეკნარის მონასტრის, წმ. გიორგის ეკლესიის რეაბილიტაცია (300 ათასი ლარი); ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (250 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- ჩატარდება ამბროლაურში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა; შეიქმნება კვლევაზე დაფუძნებული ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა; გადამზადდება ამბროლაურის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი (ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორებად);
- 2022 წელს ამბროლაურში გაიხსნება ინოვაციების ლაბორატორია;
- 2023 წელს სოფელ ნიკორწმინდაში იგეგმება სპორტული დარბაზის მოწყობა (600 ათასი ლარი);
- 2024 წლამდე ქ. ამბროლაურში ველობილიკების მოწყობაზე 200 ათასი ლარი დაიხარჯება;
- მოეწყობა სპორტული მოედნები და ტრენაჟორები სოფლებში: ხიმში და მოტყიარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

უდიდესი პატივია, კიდევ ერთხელ ვიყო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი! დიდ მადლობას ვუხდი საქმის კეთებაზე ორიენტირებულ ერთადერთ პოლიტიკურ გუნდს – „ქართულ ოცნებას“, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, მაქსიმალურად დავიხარჯო ჩემი კუთხის განვითარებისთვის.

განვლილი 4 წლის განმავლობაში, ამბროლაურში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომლებიც ითვალისწინებდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას, მუნიციპალიტეტის კიდევ უფრო გალამაზებასა და გაფერადებას. ამბროლაურის 20-მდე სოფელი უკვე სარგებლობს კეთილმოწყობილი საავტომობილო გზებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის და აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს სოფლების გაზიფიცირების მიმართულებით.

მე და ჩემმა გუნდმა ზუსტად ვიცით, თუ როგორ გავაგრძელოთ დაწყებული საქმე, როგორ გავხადოთ ამბროლაურში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უკეთესი!

ჩემთვის განსაკუთრებით დასაფასებელია ის მხარდაჭერა, რასაც თქვენგან – მშრომელი, დინჯი, საკუთარ მხარეზე შეყვარებული ხალხისგან უკვე წლებია ვგრძნობ. მჯერა, ერთმანეთის მხარში დგომით, მონდომებითა და შრომით, ყველაფერს შევძლებთ!

გარწმუნებთ, გამარჯვების შემდეგ საქმის კეთებას გაათმაგებული ენერგიით განვაგრძობთ და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვან თითოეულ გადაწყვეტილებას თქვენი მაქსიმალური ჩართულობით მივიღებთ.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.